მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N11

ქ. წალენჯიხა

29 მაისის 2015 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

საკრებულოს თავმჯდომარე: თ. ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, ივერ კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, ლევან შელია, კობა შანავა, ნონა კვარაცხელია, მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა გულორდავა, გამგებელის მოადგილეები:გიორგი ლუკავა, თენგიზ ფიფია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.

სხდომა დასრულდა: 13 : 45 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ თ. ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით. მიღებულიქნა განკარგულება N30

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი:თემურ ღვინჯილია–საკრებულოს თავმჯდომარე.

2. „საქართველო C ჰეპატიტის გარეშე" სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსების მუნიციპალური პროგრამის შესახებ

მომხსენებელი: გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: მ.შონია გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

3. ლეიკემიის ქრონიკული ფორმით დაავადებულთა პროგრამის შესახებ.

მომხსენებელი: ასმათ კვარაცხელია-საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.წალენჯიხა დასახლება ზღვაიაში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N47.11.48.297) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხ.მებონია გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასაცხოვრებელი ფართების) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხ.მებონია გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

6. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტის „ ხეების მოვლა და სხვლა-ფორმირება საქართველოს ქალაქებში“ მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი:დალი კვარაცხელია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7. საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხ.მებონია გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

8. სხვადასხვა.

მოისმინეს: 2. „საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსების მუნიციპალური პროგრამის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა მერაბ შონიამ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ გამოთქვა შენიშვნა, ნაცვლად „პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია –მუნიციპალიტეტის გამგეობა“, შეიცვალოს „პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია –წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების გაცემის მიზნით შექმნილი კომისია.“

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული ცვლილების გათავლისწინებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N31) .

მოისმინეს: 3. ლეიკემიის ქრონიკული ფორმით დაავადებულთა პროგრამის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სოციალური კომისიის თავმჯდომარემ ასმათ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა მარინა კალანდიამ გამოთქვა შენიშვნა ამ პროგრამაში ასევე გათვალისწინებულ იქნას ისეთი ბენეფიციარები რომლთა დიაგნოზიცაა სისხლის ქრონიკული დაავადება.

მ.კალანდიას მიერ გამოთქმულმა შენიშვნამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ აღნიშნულთან დაკავშირებით მისცა განმარტება, რომ წარმოდგენილი პროექტის ამ სახით ფორმულირება გამოიწვევდა

ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდას , ხოლო თანხა რომელიც გათვალისწინებული იყო ამ პროექტისთვის არასაკმარისი იქნებოდა.

მუნიპალიტეტის გამგებლის გოგა გულორდავას განმარტების საპასუხოდ სხდომაზე დამსწრე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა აღნიშნეს, რომ ისინი მხარს დაუჭერენ აღნიშნულ პროგრამას მხოლოდ მათ მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწო – ნილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით ლეიკემიის ქრონიკული ფორმით დაავადებულთა პროგრამაზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N32)

მოისმინეს: 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.წალენჯიხა დასახლება ზღვაიაში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N47.11.48.297) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა. (კენჭისყრამდე დარბაზი დატოვა საკრებულოს წევრმა მარინა კალანდიამ).

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N33)

მოისმინეს: 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასაცხოვრებელი ფართების) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 – ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N34).

მოისმინეს: 6 . საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტის „ ხეების მოვლა და სხვლა-ფორმირება საქართველოს ქალაქებში“ მოწონების თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დალი კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N35) .

მოისმინეს: 7 . საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N36)

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 მაისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N30

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 29 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;
   მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
2. „საქართველო C ჰეპატიტის გარეშე" სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსების მუნიციპალური პროგრამის შესახებ.
   მომხსენებელი: გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : მ.შონია გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
3. ლეიკემიის ქრონიკული ფორმით დაავადებულთა პროგრამის შესახებ.
   მომხსენებელი: ასმათ კვარაცხელია-საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.წალენჯიხა დასახლება ზღვაიაში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N47.11.48.297) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.
   მომხსენებელი: გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : ხ.მებონია გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასაცხოვრებელი ფართების) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
   მომხსენებელი: გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : ხ.მებონია გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტის „ ხეების მოვლა და სხვლა-ფორმირება საქართველოს ქალაქებში" მოწონების თაობაზე.
   მომხსენებელი: დალი კვარაცხელია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
6. საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.
   მომხსენებელი: გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : ხ.მებონია გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

7. სხვადასხვა.

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 მაისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N31

„საქართველო C ჰეპატიტის გარეშე" სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსების მუნიციპალური პროგრამის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე–16 მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, 61–ე მუხლის 1–ლი პუნქტის შესაბამისად,

1.დამტკიცდეს თანდართული „საქართველო C ჰეპატიტის გარეშე" სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსების მუნიციპალური პროგრამა (დანართი 2 ფურცლად);

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი, ვ.ტ. ქობალიას ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

„საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსების მუნიციპალური პროგრამა

„C“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ღონისძიებები მოიცავს:

1. C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკას:
   - მკურნალობაში ჩართვამდე
   - მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარება.
2. C ჰეპატიტით დაავადებულთა მკურნალობა C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით.

   მკურნალობის კომპონენტით განსაზღრული მედიკამენტებით პროგრამის მოსარგებლეთა უზრუნველყოფა ხორციელდება უსასყიდლოდ. ხოლო დიაგნოსტიკის კომპონენტში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70%-ს. „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ იმ ოჯახების წევრებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს თანაგადახდა შეადგენს - 30%-ს.

პროგრამის მიზანი:

მიუხედავად C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტში სახელმწიფოს მონაწილეობისა, პროგრამით მოსარგებლეთა უმრავლესობისთვის მაინც ძნელია თანაგადახდაში მონაწილეობა. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ აღნიშნული მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში თანაგადახდაში მონაწილეობა ხელს შეუწყობს თანამოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და გარკვეული ჩვენი წვლილის შეტანის C ჰეპატიტის ელიმინაციაში.

პროგრამის აღწერილობა:

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც წარმოადგენენ C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტში სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსების დამადასტურებელ დოკუმენტს. აღნიშნულის შემდეგ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების წევრებს, რომელთა სარეიტინგო არ ღემატება 70 000-ს აუნაზღაურდება თანაგადახდა -30%. ხოლო იმ პაციენტებს, რომელთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს -70%-ს აუნაზღაურდება მთლიანი ღირებულების 20 %.

პაციენტთა დაფინანსება მოხდება საკუთარი განცხადების საფუძველზე უნაღდო ანგარიშსწორებით, პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

ბენეფიციარებს პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ სახელმწიფოს მიერ დიაგნოსტიკის კომპონენტებში თანადაფინანსებიდან ორი თვის ვადაში.

პროგრამის სარჯთააღრცხვა - 24 000 ლარი.

პროგრამის ხანგრძლივობა:

დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ხანგრძლივობა
1.05.2015წ	31.12.2015წ	8 თვე

- დაფინანსების წყარო – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
- პროგრამას განახორციელებს მუნიციპალიტეტში სოციალური თანხების მიზნობრივი გაცემის მიზნით შექმნილი კომისია.
- პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია – მუნიციპალიტეტის გამგეობა.

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 მაისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N32

ლეიკემიის ქრონიკული ფორმით დაავადებულთა პროგრამის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე–16 მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, 61–ე მუხლის 1–ლი პუნქტის შესაბამისად,

1.დამტკიცდეს თანდართული ლეიკემიის ქრონიკული ფორმით დაავადებულთა პროგრამა (დანართი 2 ფურცლად);

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

ლეიკემიის ქრონიკული ფორმით დაავადებულთა

პ რ ო გ რ ა მ ა

პროგრამის წარმდგენი – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია.

პროგრამის წარდგენის დრო: 2015 წლის 15 მაისი

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია წალენჯიხის ტერიტორიაზე მცხოვრები ლეიკემიის ქრონიკული მიმდინარეობის მქონე ავადმყოფებისათვის მედიკამენტოზურ მკურნალობაში ხელშეწყობა, მკურნალობის ხელმისაწვდომობის ეტაპობრივი უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსარგებლეები:

პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აქვთ სისხლის დაავადების (ლეიკოზის) ქრონიკული ფორმა და საჭიროებენ მუდმივ მკურნალობას.

პროგრამის განხორციელების პირობები:

პროგრამის მოსარგებლეებს, მედიკამენტოზური მკურნალობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყოფა თანხა – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

პროგრამაში ჩართვის პირობები:

მოსარგებლემ პროგრამაში ჩასართავად უნდა წარმოადგინოს

- ჯანმრთელობის ცნობა N100/ა;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- საბანკო ანგარიშის ნომერი.

პროგრამის მოქმედების პერიოდი:

დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ხანგრძლივობა
1 ივნისი 2015წ	31 დეკემბერი2015წ	7 თვე

პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა

პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 10 ბენეფიციალს.

პროგრამის დაფინანსების წყარო: პროგრამის დაფინანსების წყაროა წალენჯიხის მუნიციპალიტის ბიუჯეტი, პროგრამის საერთო თანხა შეადგენს 5000 (ხუთი ათას) ლარს.

პროგრამის ადმინისტრირება:

1. პროგრამის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანებით შექმნილი სოციალური თანხების მიზნობრივი გაცემის კომისია.
2. ბენეფიციალი ვალდებულია განცხადება, შესაბამისი დოკუმენტაციით წარადგინოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში მიმდინარე თვის 15 რიცხვამდე, ვადაგადაცილებით წარდგენიული დოკუმენტაცია განიხილება შემდეგი თვის 15 რიცხვამდე წარდგენილ განცხადებებთან ერთად.
3. ბენეფიციალის განცხადებისა და კომისიის მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების საფუძველზე, ამ პროგრამით დადგენილი თანხა (500 ლარი) შეიძლება გაიცეს ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ ეტაპობრივად.

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 29 მაისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N33

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წალენჯიხა, დასახლება ზღვაიაში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N471148197) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის" კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად,

1.გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წალენჯიხა, დასახლება ზღვაიაში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N471148197) საცხოვრებელი ფართების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.
2.განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილი წესით, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12)

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 მაისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N34

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასაცხოვრებელი ფართების) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე–4 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს იჯარით (პირდაპირი განკარგვის წესით) გასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

ა) სპს „კალანდია ნოდარი“ (ს/კ N242734216 დირექტორი რეზო ფურთუხია)-ქ. წალენჯიხა თბილისის ქუჩა N2-ში მდებარე ქ.წალენჯიხის ადმინისტრაციული შენობის (სარეგისტრაციო N471143014) პირველ სართულზე არსებული 20 კვმ არასაცხოვრებელი ფართი 5 წლის ვადით, წლიური იჯარის ქირის ღირებულებით 800 ლარი.
ბ) შპს „ანია“ (ს/კ 442729790 დირექტორი დიმიტრი ევსია)- ქ. წალენჯიხა თბილისის ქუჩა N2-ში მდებარე ქ. წალენჯიხის ადმინისტრაციული შენობის (სარეგისტრაციო N471143014) პირველ სართულზე არსებული 19 კვმ არასაცხოვრებელი ფართი 5 წლის ვადით, წლიური იჯარის ქირის ღირებულებით 600 ლარი.
2.განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12)

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 მაისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N35

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტის „ ხეების მოვლა და სხვლა-ფორმირება საქართველოს ქალაქებში“ მოწონების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე–16 მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, 61–ე მუხლის 1–ლი პუნქტის შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტი „ ხეების მოვლა და სხვლა-ფორმირება საქართველოს ქალაქებში“.
2. დაევალოს საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას აღნიშნულ სარეკომენდაციო დოკუმენტთან დაკავშირებით ინსტრუქციის შემუშავება და საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენა.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 მაისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N36

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1.შეტანილიქნეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.წალენჯიხა, სალიას ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 29.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 4711433120).

2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია